



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სარჩელები არაორდინალურად სწრაფად, შემჭიდროვებულ ვადებში განიხილება სასამართლოს მიერ; სასამართლო კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ აბრუნებს მტკიცების ტვირთს, და, მას მოპასუხეს აკისრებს; სასამართლო ე.წ. ცილისწამების სარჩელის საფუძვლიანობას ფორმალურად უდგება, და არ ამონმებს, ხომ არ შეიძლება სარჩელს ჰქონდეს ფიქციური მიზანი; პრობლემურია, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა პირადი ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების კოლიზიისას სამართლიანი ბალანსის დადგენის კუთხით; სასამართლო ჯეროვნად არ მსჯელობს დავის შეწყვეტის საფუძვლების არსებობაზე; ზოგიერთ შემთხვევაში, გამოვლინდა, რომ ირღვევა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, და, SLAPP დავების მიმდინარეობისას მონაწილე მხარეებს არ ეძლევათ თანაბარი შესაძლებლობები მტკიცებულებების წარმოსადგენად; ასევე, სასამართლოები მხედველობაში არ იღებენ განსახილველი საკითხის გაშუქებამდე / გამოქვეყნებამდე ჟურნალისტების მიერ მიღებულ ზომებს და, ხშირ შემთხვევაში, ირიბად ავალდებულებენ მათ გაამჟღავნონ კონფიდენციალური წყარო; სასამართლოები არ მსჯელობენ სადავო მასალის მიერ დემოკრატიულ დისკუსიაში შეტანილ წვლილზე, როგორც ამას მოითხოვს ევროპული სასამართლოს სტანდარტი; ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ე.წ. ცილისწამების დავებზე სათანადო მოპასუხე არის მედიის მესაკუთრე, მოსამართლეები ჟურნალისტებსაც აკისრებენ პასუხისმგებლობას და არ მსჯელობენ არასათანადო მოპასუხის საკითხზე; მოპასუხეებს დიდი ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება ეკისრებათ.

**ასეთი საქმეები, თავისი შინაარსით, კვალიფიცირდება, როგორც SLAPP საქმეები, ანუ სტრატეგიული სამართალწარმოება საჯარო ჩართულობის წინააღმდეგ, როდესაც საქმეები ფიქციური მიზნით იწარმოება, და, მოსარჩელის მიზანი, არა საკუთარი უფლებების დაცვა, არამედ, კრიტიკული მედიის ხმის ჩახშობაა.**

**SLAPP-ები განსაკუთრებით დამაზიანებელ გავლენას მოახდენს მედიაზე არჩევნების დროს, სადაც კანდიდატების, პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო პროცესების მონიტორინგი უმთავრესია. იმის გათვალისწინებით, რომ SLAPP-ები მიზნად ისახავს გააჩუქოს კრიტიკული და საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ეს პირდაპირ გავლენას მოახდენს ისეთი საკითხების გაშუქებაზე, როგორცაა, კორუფცია, ამომრჩევლის მოსყიდვა, ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენება და სხვა. ეს სამართლებრივი იარაღი, არამხოლოდ, ახშობს გამოხატვის და პრესის თავისუფლებას, არამედ ძირს უთხრის ამომრჩევლის უნარს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები ზუსტი და მრავალფეროვანი ინფორმაციის**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, რაც შედეგად ნიშნავს, იმას, რომ SLAPP-ების პრაქტიკა არის უშუალო თავდასხმა თავად საარჩევნო პროცესის მთლიანობაზე.